



საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,  
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის  
ბრძანება № MOH 3 23 00000198

ქ. თბილისი

05/06/2023 წელი



**„ოპიოიდური აღკვეთის სინდრომისას მეთაღონით დეტოქსიკაცია“ - კლინიკური  
მდგომარეობის მართვის სახელმწიფო სტანდარტის (პროტოკოლის) დამტკიცების  
თაობაზე**

„ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „კ“ ქვეპუნქტის, მე-16 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 სექტემბრის №473 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, „კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაციებისა (გაიდლაინები), კლინიკური მდგომარეობის მართვის სახელმწიფო სტანდარტების (პროტოკოლები) და დაავადებათა მართვის კლინიკური გზამკლევის შემუშავების, შეფასებისა და დანერგვის ეროვნული საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2023 წლის 17 მაისის N32/წ ბრძანებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის შესაბამისად,

**ვბრძანებ:**

1. დამტკიცდეს „ოპიოიდური აღკვეთის სინდრომისას მეთაღონით დეტოქსიკაცია“ - კლინიკური მდგომარეობის მართვის სახელმწიფო სტანდარტი (პროტოკოლი) თანდართული დანართის შესაბამისად.
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ოპიოიდური აღკვეთის სინდრომისას მეთაღონით დეტოქსიკაციის მართვა“ - კლინიკური მდგომარეობის მართვის სახელმწიფო სტანდარტის (პროტოკოლის) დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2016 წლის 17 ივნისის №01-135/ო ბრძანება.
3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მინისტრი  
ზურაბ აზარაშვილი

ხელმოწერილია/  
შტამპდასმულია  
ელექტრონულად

